



მანანა ორბელიანი

ავტორი: თამაზ ჯოდოშვილი

მანანა ორბელიანი (1808-1870) იყო პოდპოლკოვნიკ მირმანოვ ქსნის ერისთავის ასული და მეუღლე პოდპორუჩიკ (ზოგ წყაროში – „სოვეტნიკ“) დავით ორბელიანისა (გარდ. 1830 წ. დავითის გარდაცვალებას გრიგოლ ორბელიანი გამოეხმაურა ლექსით – „დავით ორბელიანზე“). დაქვრივებულმა მანანა ორბელიანმა ქმრის საფლავზე ფიცი დადო – აღარ გავთხოვდებიო – და ეს ფიცი აღასრულა კიდევ, თუმცა მუდამ თავყანისმცემლებით იყო გარშემორტყმული.

ეროვნული მნიშვნელობის პირველი საქმე, რომელშიც მანანა ორბელიანს ვხედავთ, არის 1832 წლის შეთქმულება. მისი მონაწილეობა „ფარული საზოგადოების“ საქმეებში შეთქმულების

საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებებში ჯერ დაადასტურეს მანანას მამლმა, ლუარსაბ ორბელიანმა, შემდეგ კი ისე ფალაგანდიშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი (რევაზის ძე) ერისთავებმა. თვითონ მანანა ორბელიანმა 1833 წლის 25 თებერვალს მთავარმართებელ გრიგოლ როზენს ასეთი წერილობითი განმარტება მისცა: „მე ვარ... რძალი ნამსახური და ერთგულის სახლისა და კმაყოფილი ჩემის ცხოვრებისა და მთავრობისაგან. მაშ რა მიზანი მექნებოდა, რომ გამებედნა და შევსულიყავ მთავრობის წინააღმდეგ საქმის მოქმედებაში, მაგრამ თუმცა ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგი პაბრი ჩემის ნათესავებისაგან შეტყობილი მქონდა

და, ვითარცა კანონის უცოდინარმა დედაკაცმა, შიშითა და სირცხვილითა და ნათესაობის მიზეზით ვერ გავბედე, რომ პირველადვე მოენე შევექმნილიყავი“. 1833 წლის 7 ივლისს მანანა ორბელიანი უკვე საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომელშიც აღიარებს: 1832 წლის ნოემბრის დამდეგს ელიზბარ და გიორგი (რევაზის ძე) ერისთავებმა მითხრეს, „რომ გვსურს თავისუფალნი შევიქნათო“, მაგრამ მე არათუ დავთანხმდი, პირიქით, ისინი დავტუქსე და ამის მერე მე შეთქმულებაში არც არა მონაწილეობა მიმიღია და არც არაფრის კურსში ვარ, გარდა იმისა, რაც გრაფ როზენს წერილობით უკვე ვაცნობეო.

საგამომძიებლო კომისია დასჯერდა მანანას ჩვენებებს, გაათავისუფლა იგი პასუხისმგებლობისაგან, თუმცა საჭიროდ ჩათვალა, მისთვის საგანგებო მეთვალყურეობა დაენესებინა.

სინამდვილეში, შეთქმულთა ჩვენებების მიხედვით, მანანა იმდენად იყო ჩართული შეთქმულებაში, რომ ის ესწრებოდა ფარულ შეხვედრებს, იცოდა „პირველი ღამის განკარგულებისა“ (აჯანყების დაწყების გეგმის) და საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტის არსებობის შესახებ და სხვ.

კიდევ ერთი საინტერესო გარემოება:

ალექსანდრე ორბელიანის ერთი მოგონების მიხედვით, „ზოგიერთმა ყმანვილმა დედაკაცებმა ბაირალებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს“. დოკუმენტურად არ დასტურდება, იყო თუ არა ამ „ყმანვილ დედაკაცებს“ შორის მანანა ორბელიანი, თუმცა არისტოკრატიულ წრეებში ასეთი გადმოცემა მართლაც არსებობდა – რევამ შალვას ძე ერისთავის ასული ანასტასია ამილახვარი ერთ თავის მოგონებაში წერს: „მანანა [ორბელიანი]... ჰქარგავდა საქართველოს აღდგენის დროშას“, ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავის გადმოცემით კი – „მანანაზე, ვგონებ, ცნობილია, რომ თავისუფლების დროშას საქართველოსი ჰკერავდნენ ელენე და მანანა“ (ავტორი აქ გულისხმობს ელენე ერისთავს – ლუარსაბ ორბელიანის ასულს, 1850 წელს ყაჩაღების მიერ მოკლული ზაქარია ერისთავის მეუღლეს, თუმცა შეთქმულებასთან რაიმე ფორმით ელენეს კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ჩვენ



მანანა ორბელიანი

არ მოგვეპოვება. ესა და ანასტასია ამილახვრის ზემოხსენებული მოგონებები დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში).

ასეა თუ ისე, მიუხედავად შეთქმულებაში მანანა ორბელიანის მონაწილეობის დამადასტურებელი ამკარა ფაქტებისა, იგი არსებითად დაუსჯელი დარჩა. რას უნდა გამოენჯია ეს?

შეთქმულების მასალებზე დაკვირვება ამკარას ხდის, რომ არც ხელისუფლება ზოგადად და არც საკუთრივ შეთქმულების საგამომძიებლო კომისია არ იყვნენ დაინტერესებულნი შეთქმულების სრული და მიუკერძოებელი გამოძიებით და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ნებით იყო განსაზღვრული. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებისათვის არ იყო სასურველი, საქვეყნოდ გამჟღავნებულიყო

არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმისადმი ასეთი საყოველთაო უკმაყოფილება „ნებაყოფლობით შეერთებულ“ ქვეყანაში. მეორეც, რუსეთს გაჩაღებული ჰქონდა სისხლისმღვრელი ომი ჩრდილოეთ კავკასიაში და მისთვის, ცხადია, ხელსაყრელი არ იყო სერიოზული კონფლიქტი ამ ომის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში. ამას გარდა, ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩაწყნარებული რუსეთის მიერ პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების ჩახშობისა და აჯანყებულ პატრიოტთა ხოცვა-ჟლეტის გამო. უსათუოდაა გასათვალისწინებელი ფსიქოლოგიური ფაქტორიც – რუსეთის მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოში (საერთოდ კავკასიაში) თავისი პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი არისტოკრატია გადაეყვია და მისთვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა,




მანანა ორბელიანი, მხატვარი გ. ბაგრატიონი

ურთიერთობა ჰქონოდა არა **დასჯილ**, არამედ **შენყალბებულ** ფენასთან. შესაძლებელია, სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი იყო კიდევ მთავარი მიზეზი ნიკოლოზ I-ის „გულმონყალებისა“ (ხელისუფლებამ 1835 წლიდან დაიწყო შეთქმულთა თანდათანობითი დაბრუნება საქართველოში და მხოლოდ

რამდენიმეს – სოლომონ დოდაშვილს, სოლომონ რამშაძეს, მოლა ბამანასა და კიდევ ორიოდე სხვას, მათ შორის, შეთქმულების გამცემ იასე ფალავანდიშვილს – სხვადასხვა მიზეზით ვერ ეღიროსა სამშობლოს ხილვა).

ასე რომ, მანანა ორბელიანი, ისევე, როგორც შეთქმულთა უმრავლესობა, მკაცრი სასჯელისაგან იხსნა ხელისუფლების სურვილმა – მაქსიმალურად დაეკნინებინა შეთქმულების ნამდვილი ბუნება, მიზანი და მასშტაბი.

1840-იანი წლებიდან მანანა ორბელიანი თბილისის კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების ცენტრში მოექცა. მას ჰქონდა ლიტერატურული სალონი, სადაც თავს იყრიდნენ თბილისში მყოფი ქართველი მწერლები და რუსეთიდან თუ



მანანა ორბელიანის სალონი, მხატვარი ნ. სტუპუა

უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები. აქ კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს (ორიგინალურებს, თარგმანებს), მსჯელობდნენ ქართული კულტურის აწმყოსა და მომავალის შესახებ. სწორედ მანანას სალონში დაიბადა და ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების იდეა. ყოველივე ამის გამო იონა მეუნარგია მანანას „ჩვენებურ მადამ რეკამიეს“ უწოდებს [მადამ რეკამიეს (1777-1849) პარიზში ჰქონდა ევროპაში სახელგანთქმული სალონი, სადაც თავს იყრიდნენ დიდი მწერლები და ხელოვანები (შატობრიანი, სტენდალი, ბალზაკი, ჰიუგო, მერიმე, მიუსე, ჟაკ ლუი დავიდი და სხვ.). ამდენად, ეს სალონი ათეული წლების განმავლობაში პარიზის კულტურულ-ინტელექტუალურ ცენტრად ითვლებოდა].

დიმიტრი ყიფიანის ცნობით, 1840-იანი წლების დასაწყისში იმ ქართველ პოეტებს (მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილს), რომლებიც მანანა ორბელიანის სალონში ტრიალებდნენ, შეუდგენიათ მანანასადმი მიძღვნილი ხელნაწერი პოეტური კრებული, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. მანანა ორბელიანის სალონის წევრმა დიმიტრი ყიფიანმა თავისი პირველი თარგმანი შექსპირის „რომეო და ჯულიეტასი“ (1841 წ.) უძღვნა მანანას – უცნობი ხელით გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერს ამ თარგმანისას აქვს მინაწერი: „რუსულიდან კნეინა **მანანა ორბელიანისთვის** ქართულსა ენაზედ გარდმოღებული **ყიფიანის** მიერ **ტფილისს...**“ და სხვ. (მანანას სალონში იქნა წაკითხული ეს თარგმანიცა და ნიკოლოზ

ბარათაშვილის ამჟამად დაკარგული თარგმანი იოჰან ლაიბვიციის ტრაგედიისა „იულიუს ტარენტელი“).

მანანა ორბელიანი გარდაიცვალა 1870 წლის 3 ივნისს. დაკრძალულია მეუღლის გვერდით, კუმისის წმ. სამების ეკლესიაში, ორბელიანთა საგვარეულო სამარხში.

აქვე, როგორც საინტერესო ლიტერატურულ ფაქტს, გთავაზობთ ჟურნალ „ცისკარში“ (1871, N1, გვ. 46-47) გამოქვეყნებულ მანანა ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსს, რომლის ავტორია მანანას მეგობარი, პოეტი ეკატერინე ერისთავი (გარდაიცვალა 1870 წლის 4 დეკემბერს, დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში).

კნინა მანანა ორბელიანის ფორტრეტსა

სატრფოს ფორტრეტსა
ვჭვრეტ ვითა მზესა
ჭმუნვარეს გულის განმანათლებლად.
მხატვრობა ესე,
შვენებით სავსე
მგზავსი თუ ოდენ ყოფილარს ძველად.
ოდესცა ვნახე
მის ტურფა სახე,
მყის განკვირვებით ვიქმენ მოცული,
და ვით შვენიერს,
პლანეტსა ციერს
ვსჭვრეტდი, შვეიქენ აღტაცებული!
იზიდავს გულსა,
მსხვერპლად გძღვნი სულსა,
ნუთუ მალნიტნი გქონან თვალებში.
და მისთვის მარად
მყავ მონად მყარად
მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.
უშანკო გული,
კეთილით სრული
ალატრფობს ყოველთ შენდა საქებრად,
გაქვს შესაფერი
ეგ ნაზი ფერი,
მოგნიჭებიეს განსაშვენებლად.
ხარ სრული გრძნობით,
განსჯით და ცნობით,
სამაგალითოდ წარმოდგენილი,
ქცევა ქებული,
გაქვს დიდებული,
გშვენის: ქალთ მეფედ გყონ დადგენილი!



მანანა ორბელიანი